



# מִנּוֹרָה

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ცხრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מִנּוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აცკემპერი  
(ტევითი)  
№13 (473)  
(5781)  
2020

”מגורה“  
עיתון יהודי  
בגאורגיה

## შეხვედრა ისრაელის პრეზიდენტთან

8 დეკემბერს ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი, გენერალური დირექტორი — ხაიმ ბერი იაკობი და ხაზინადარი — მენაზემ ბუშუავი იერუსალიმში, პრეზიდენტის სახახლეში შეხვდნენ ისრაელის პრეზიდენტს რუვენ (რუბა) რივაინს. მიხ მირილაშვილმა ისრაელის პრეზიდენტს გადასცა კონგრესის მიერ მეორედ გამოცემული (პირველი გამოცემა — 1922 წ. ბერლინი) ვლაძიმირ (ზევ) ფაბოტინსკის ფელეტონების კრებული.

რეუვენ რივლინმა, როგორც ვ. ფაბოტინსკის პლოიტიკური მოძღვრების დიდი ხნის მიმდევარმა, ამ გამოცემის წინასიტყვაობა დაწერა. ისრაელის სახელმწიფოს მეთაურმა ამ წიგნისათვის გულითადი მაღლობა მოახსენა ესე კონგრესს და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ კონგრესის მოღვაწეობა ეხმიანება სიონიზმის ამ ლიდერის სულისკვეთებას.

თავის მხრივ ესე კონგრესის პრეზიდენტმა მიხ. მირილაშვილმა ისრაელის პრეზიდენტ რ. რივლინს მაღლობა მოახსენა გულითადი მიღებისათვის და გამოიქვა რწმენა, რომ წიგნი მკითხველის დიდ ინტერესს გამოიწვევს.

— პანდემიის მიუხედავად, კონგრესი აქტიურად მუშაობს — უკვე დიდი ხანის ხელს უწყობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელებას. ამ საქმიანობას მომავალშიც გავაგრძელებთ — განაცხადა მიხ. მირილაშვილმა.



## შოთა რუსთაველი ისრაელში



ისრაელის ქალაქ კირიათ ბიალიკში, ქალაქის ცენტრში, სინაგოგასთან, არიელ შარონის სახელის პარკში გავხსენით რუსთაველის ძეგლი. მინდა განსაკუთრებული მაღლიერება გამოვხატო ბატონი შოთა წევნიამვილის მიმართ, რომელმაც დიდი ძალის სამსახურის ჩადრინების მიზნებით მიმდინარეობდა. ამ საშვილილოში, ჩვენი ქადაგის მიზნების მიზნებით მიმდინარეობდა.

ფატი, რომ შოთა რუსთაველი თავისი ქვეყნის საკუთარ მონასტერში მოღვაწეობდა იერუსალიმში, თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს ისრაელშიც. ამ საქმეში ჩვენი ერთგული ქართველი ებრაელების როლი და მხარდაჭერა დიდია!

როცა ისრაელში მოვდიოდი სამუშაოდ, ვიცოდი, რომ მარტო არ ვიქნებოდი, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის ერთგული ქართველი ებრაელები ფესვმომაგრებულები არიან ისრაელის მინაზე! მიყენარხათ!

თქვენ გვერდში უნდა დაუდგეთ ისრაელში მცხოვრებ და მყოფ ქართველებსაც! მათი დიდი თემი გააძლიეროთ. ამით ერთად გავაძლიერებთ ისრაელსაც და საქართველოსაც! ამ საქმეშიც მეიძედებით!

## მეგობრობის სულისკვეთებით

ისრაელის საელჩოს და Mashav-ის (ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო) მხარდაჭერით, ახალგაზრდა ქართველმა ანტერპრენერმა შექმნა ინოვაციური ჰაიტექპროდუქტი, რომელიც ბიზნესს გაუმარტივებს Covid-19 პირობებში ოპერირებას და ამასთან არ საჭიროებს დიდ ფინანსურ დანახარჯებს.

აღნიშნული პროდუქტი შეიქმნა მაღალიტექნოლოგიების სფეროში ისრაელ-საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში.

ინოვაციური პროდუქტის სახელია - თერმიალ: ტერმიალი ქმნის დაბალი ლირებულების მარტივად მოსახმარ ავტონომურ კამერას, რომლის მთავარი მიზანია ამათუმ აბიექტზე ადამიანების სიცხის გაზომვა. გარდა ამისა, კამერას ექნება

1. ადამიანების ნაკადის დათვლის და

2. საცალო ვაჭრობის ობიექტებში სექციებს პოპულარულობის დადგენის ფუნქცია. პროდუქტის ინოვაციურობა იმაღება ტექნოლოგიაში, რომელიც საშუალებას იძლევა მაღალი გამოთვლითი ოპერაციების ჩატარებას დაბალ ფასად, რაც საბოლოო ჯამში რამდენჯერ შეამცირებს კამერის ფასს.

ეს გახლავთ ისრაელ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელება Covid-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში, იმ მრავალპროექტთან და ჰუმანიტარულ მხარდაჭერასთან ერთად, რომელიც აქამდე განხორციელდა.

მიმდინარე წლის განმავლობაში ისეთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორიც არის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ისრაელის საელჩომ კვალიფიციური კონსულტაციების, შესაბამისი აღჭურვილობისა, თუ თანხის დონაციის სახით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ბრძოლაში პანდემიის წინააღმდეგ.

GRCS:

26 წლის ისრაელის საელჩომ და MASHAV-მა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას პანდემიასთან ბრძოლისთვის საჭირო ჰუმანიტარული დახმარება გადასცა.

დახმარება გამოყენებული იქნა შემდეგი მიზნებისთვის: თბილისში, ქუთაისასა და ბათუმში 600 მოწყვლადი აჯახისათვის საკეთო და ჰიგიენური პროდუქტების დარიგება; შესაბამის მუნიციპალიტეტებში მასობრივი ტესტირების ხელშეწყობა; GRCS-ის სასწავლო პლატფორმიდან მოხალისეებისათვის Covid-19-ისა და უსაფრთხოების ზომებზე ინლაინ ტრენინგების დარიგება მოხალისეებისთვის.



ლაპა შვანია



# მი ქამოხა ბაყოლამ ჰაშემ

## ხანუქა - ისტორია და სეგულაპი

“როდესაც ბერძნებმა დაიპყრეს ბეით ჰამიკუდაში, შებილნეს ზეთი, რომელსაც ისრაელები მენორას ასანთებად იყენებდნენ. ხაშმონაების გამარჯვების შემდეგ კი ეძებდნენ ზეთს და იპოვეს მხოლოდ ერთი ქილა, რომელზეც იყო ქონ ჰაშემი და დამყოფი ზეთი აღმოჩნდა, მაგრამ მოხდა სასწაული და იგი 8 დღე ენთო. ერთი წლის შემდეგ იგივე დღეებში დაადგინეს დღესასწაული მადლიერების და განადიოდების.” (თალმუდი, შაბათი 21ბ)

ებრაული წელთაღრიცხვით 3408წელს ახალი სტილით კი 352 წელს აშენდა მეორე ბეით ჰამიკუდაში—ტაძარი.

3552 წელს იუდეის ტერიტორიები მიიღოთა სირიის მეფემ — ანტიოქე მესამემ.

ისრაელელთა შორის გაიზარდა ელინიზმის გავლენა. ქონ ჰაშემი და დამყოფი იყდეას ემუქრებოდა: ელინიზმი თორის, ე.ი. სულიირების საპირისპიროდ, აღიარებდა ფიზიკურ სილამაზეს და ჰაშმონიას, ოხანანი ყველანაირად ენინაალმდეგება იყუდეაში ელინიზმის გავრცელებას, ეს კი მიუღებელი იყო ბერძნებისთვის.

ერთ-ერთმა ელინიზერებულმა ებრაელმა სელევკ მეოთხეს შეატყობინა, რომ იერუშალაიმის ტაძარში ინახება დიდი სიმდიდრე, ტაძარში ფულის ამოსალებად იგზავნება დიდებული გელიდორი,

მიუხედავად იოხანანის თხოვნისა, გელიდორი ძალით შევიდა ტაძარში, მაგრამ პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე აზროვნების უნარს კარგავს.

სელევკ მეოთხე მალე მოკლეს და ძვ. წელთაღრიცხვით 175 წელს ელინურ ტრადიციებზე აღზრდილი ანტიოქე მეოთხე გამეფედა. მისი მიზანი იყო იმპერიის ერთიანი ბერძნული კულტურით გაერთიანება. პატარა იერდეა კი ერთი ღმერთის რწმენას არ ღალატობდა — მტკიცედ მისდევდა.

3593 წელს (167 წევნ. ნ.ა.) ანტიოქე მეოთხემ ააოხრა ბეით ჰამიკუდაში.

ებრაული რწმენა უკანონიდ გამოცხადდა: თორის სწავლისათვის, ნათლობისათვის, შაბათის და ჰაშერი საკვების პრინციპების დაცვისთვის ისრაელებს სიკვდილით სჯიდნენ.

ამ რას წერს ისტორიკოსი იოსეფ ფლავიუსი წიგნში — “ებრული საგანძუროი”: “შემდეგ მეფემ (ანტიოქე მეოთხე), ტაძარში, სადაც მსხვერპლები სარულდებოდა, დაკალი და ლორი, ცხოველი რომელიც იყო მეფემის სამარცხე და მოკლებული ჩერენი დღესასაწაულების თარიღების სწორი გამოთვლა.”

ისევ მეოთხე მალე მოკლეს და ძვ. წელთაღრიცხვით 5 წელში ისრაელებს დათანხმებოდნენ თორის ზოგიერთ მიცვებში, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგობას უწევდნენ ებრაული ნათლობის (წინდაცვეთა), შაბათის დაცვის და რომ-ხოდების (ახალი თვის აღნიშვნა). შენარჩუნებისა. პირველი ორი არის ისრაელი ერის კავშირი ჰაშემთან, ხოლო მესამეზე დამოკიდებულია ჩერენი დღესასაწაულების თარიღების სწორი გამოთვლა.”

ისევ მეოთხე ფლავიუსი საერთო საგანძუროი” (თავი 6): “ერთ სოფელში 5 წელით ცხოვრობდა მათათაუ ქონ ხაშმონაი (იოხანანი, შემყონი, იეპუდა, ელყაზარი და იონათანი), როდესაც იქ მეფის კაცები შევიდნენ, მოთხოვეს მათათაუ სახალობ შეენირა ღორი, უარი მიიღეს, მაგრამ გამოწინდა სხვა ადამიანი, ვინც ეს გააკეთა, რის შემდეგაც მათათაუმ და მისა შვილებმა მოკლეს ეს იუდეველი, აგრეთვე ბერძნების ხელმძღვანელი აპელას და მისი ჯარისკაცები.”

მათათაუ თქვა ცნობილი სიტყვები “მი ქამოხა ბაყოლამ ჰაშემ” (რომელი დაუგარის ადამიანის ცხოველურობა, მაგარამ ლამაზი მანერების, ესთეტიკის და ბრწყინვალების ქვეშ იმაღლოდა ცხოველური მოთხოვნები და აკრძალული სიამოგნებების სურვილები. გარედან ლამაზი ელინი შიგნით დარჩა სასტიკი, ეგოისტ და გარყვნილ არსებად”. (რაი მოშე პანტელატი).



### აჰარონ მდინარაძე

ნლის განმავლობაში, სიკედილის წინ შვილებს უთხრა: “სულიერ საკითხებში დაუჯერეთ შიმყონს, ხოლო სამხედროში იეპუდას (მას მომავალში შეარქევს “მაკაბი”, ხოლო მის მიმდევრებს მაკაბელები.)” — რაბი მოშე ოერბახის „ებრაელი ხალხის ისტორია“.

დაწყო აკანუყება, რომელიც დამთავრდა იუდეველების სასწაულებრივი გამარჯვებით, ექვსი ათასიანმა რაზმა იეპუდა მაკაბელის ხელმძღვანელობით დაამარცხა სამოც ათასიანი არმია ყველაზე ცნობილი ბერძნი მხედარმთავარის ლის მეთაურობით.

3595 წლის 25 ქისლევს იუდეველებმა გაანთავისულება ტაძარი, დაიწყება მისი წესრიგში მოყვანა, სასწაულით იპოვეს ერთი ქილა წმინდა ზეთი, შენირეს აშემს მსხვერპლი, და აანთეს მენორა, ზეთმა რომელიც იყო სამყოფი მხოლოდ ერთი დღისთვის სასწაულით გაძლო 8 დღე.

ამ სასწაულებთან დაკავშირებით მომავალი წლიდან დადგინდა ხანუქის დღესასწაულის აღნიშვნა 8 დღის განმავლობაში.

“ელინიზმა წინ წანა მსოფლიო, ბერძნულმა კულტურამ დაუგარის ადამიანის ცხოველურობა, მაგარა მანერების, ესთეტიკის და ბრწყინვალების ქვეშ იმაღლოდა ცხოველური მოთხოვნები და აკრძალული სიამოგნებების სურვილები. გარედან ლამაზი ელინი შიგნით დარჩა სასტიკი, ეგოისტ და გარყვნილ არსებად”. (რაი მოშე პანტელატი).

ინებოს ჰაშემშა რომ დაეხმაროს თითოეულ ისრაელს მიხვდეს მის დანიშნულებას ამ სამყაროში, დაუბრინდეს მის გზებს და ემსახუროს მათელი გულით და სიყვარულით და მაშინ ჰაშემი აღარ დააყოვნებს და აგვიშენებს ბეით ჰაშემის და დაგვამაღლიანებს მენორის შუქის დანახვას, მალე ჩერენს დღეებში, ამენ ვე ამენ.

## ხანუქის სეგულები

ხანუქის პირველი სეგულა-რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩეველი: პირველი ლამე-არიყოთ მარტო და დეპრესიულ მდგომარეობაში,

ხანუქის მეორე სეგულა-რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩეველი: მეორე ლამე- უნდა ვილოცოთ მალომ ბაითზე (მშვიდობა ოჯახში) და შიდუხზე (ვისაც უნდა თავისი მეორე ნახევრის პოვნა),

ხანუქის მესამე სეგულა-რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩეველი: მესამე ლამე-უნდა ვილოცოთ რომ ჩერენი შვილები იყვნენ ბედნიერებით და ჯანმრთელები,

ხანუქის მეოთხე სეგულა-რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩეველი - მეოთხე ლამეს გავისხეს სწორ რაბისას, ლევა, ბილჰასადა ზილფას დამსახურება და ვილოცოთ ქალურ ბედნიერებაზე.

მეხუთე ლამე - ხანუქის სეგულა-რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩეველი - ვილოცოთ რომ ქმრები და შვილები სწავლის მიმსა-სიმბიარულე, რაბი მეერ ბაყალ ჰან ნეს-რომ-ხოდების დამე - უნდა ვილოცოთ მათზე ვინც გვინდა, რომ თეშუბაზე დაბრუნდება-ავრაპამ აბინუს იორცაიტი.

მეშვიდე ლამე - შაბათი - ხანუქის სეგულა-რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩეველი - ვილოცოთ ჰაშემისგან ყველა ბერახის მიღებაზე,

რაბი მეერ ბაყალ ჰან ნესი: და ასევე კიდევ ერთხელ წყვილის მოძებნაზე.

მერვე ლამე - ხანუქის სეგულა-რაბი ლევი იცხაკ-ბერდიჩეველი:- მერვე ლამე არის მათთვის, ვისაც შვილი უნდა.

რაბი მეერ ბაყალ ჰან ნესი: ნავიკითხოთ მე- 80-ე თეჭილიმი და ქალბატონებს შეუძლიათ დაამატონ: „რიბონო შელ ყოლამ მე მქონდა ზეხუთი გამენათებინა ხანუქის 8 სანთელი „მომეცი ზეხუთი, მალირსე ჩემს ბიჭი მოვნათლო მერვე დღეს!“

ხანუქა საგ სამეახ!

სალოცავ ბეით რახელის რაბინი - აჰარონ მდინარაძე





# THE JERUSALEM POST

ებრაული სამყარო

# მიხეილ მირილაშვილი: გავლენა საქართველოდან ისრაელში

୬୫୦୩ ମେସନ୍

**მიხეილ მირილაშვილი** გახლავათ ის-  
რაელის ქართველი ეპრაელი წარმატებული  
ბიზნესმენი და ქველმოქმედი, ცხოვრობს  
ისრაელში. მიხ.მირილაშვილის ბიზნეს ინ-  
ტერესთა სფერო მრავალფეროვანია: ტე-  
ქნოლოგიურ კომპანიები, უძრავი ქონება,  
სავაჭრო და კომერციული ცენტერები, ინ-  
ფრასტრუქტურულ და ენერგოშემნახველი  
პროექტები, სამენეჯმენტო და სპორტული  
სტუქტურები, და, ბოლოს ასიახლე: COVID-19  
– თან ბრძოლის ეფექტური ტექნოლოგიები.

მიხ. მირილაშვილი არის მსოფლიოს  
ებრაელობის ერთ-ერთი ლიდერი და განსა-  
კუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ყოფილი  
საბოჭოთა კავშირის ქვეყნების ებრაელთა  
თემებს.

ამჟამად მიხ. მირილაშვილი გახლავთ ევრ-  
აზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტი,  
მსოფლიო ებრაელთა კონგრესის აღმას-  
რულებელი კომიტეტის წევრი, ვიცე-პრე-  
ზიდენტი, რუსეთის ებრაელთა კონგრესის  
ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის „მაკაბის“ კავ-  
შირის პრეზიდენტი და ქართველი ებრაელო-  
ბის თორისა და ხესედის ცენტრის პრეზი-  
დენტი. 2015 წელს ისრაელის სახელმწიფოს  
და საერთაშორისო ებრაული სამყაროსათ-  
ვის განხეული დიდი სამსახურისათვის მან  
მიიღო კარენ ჰაიესოდის საქვეყნოდ აღი-  
არებული ისაიას სახელობის პრემია.

მიხეილ მირილაშვილი დაიბადა 1960 წლის 1 მაისს საქართველოში (დაბა კულაში). 1977 წელს გაემგზავრა ქალაქ სანქტ-პეტერბურგში (მაშინ ლენინგრადი). მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა მათემატიკა, მისალები გამოცდები ჩააბარა საქნტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც პედიატრიის სპეციალიზაციით დაამთავრა.

მიხ. მირილაშვილი 1980-იანი წლების და-  
საწყისში შეუერთდა მისი მამის, მოშე მირ-  
ილაშვილის, მიერ დაარსებულ ოჯახურ  
ბიზნესს. 90-იანი წლების შუა პერიოდში  
ოჯახური ბიზნესი გაიზარდა, მთელ რუ-  
სეთში შეიქმნა უძრავი ქონების რამდენიმე  
ოფისი და მან იგი გააფართოვა რუსეთის  
საზღვრებს მილმაც.

გლობალ“ (Flarium Global), „ბეერ იცხაკ ენერჯიი“ (Be'er Itzhak Energy), „ჰოშენ არგამან“ (Hoshen Argaman); „ვატერგენი“ (Watergen) - წყლის ტექნოლოგიების კომპანია, „ვერტიკალ ფილდ“ (Vertical Filed)- ტექნოლოგიური კომპანია; და, ბოლოს - „ნანოსონო“ (Nanosono) - ბაქტერიების, მათ შორის კოვიდ-19-ის, გამანადგურებელი ნანო მასალების ნარმოება.

მიხეილ მირილაშვილი გვევლინება რაპინ  
იცხაკ დოვი გროსმანის „მიგდალორი —  
ქველმოქმედებისა“ და „ზაკა - სასწარაფო  
გუნდი“-ს (ZAKA) გენერალურ სპონსორად  
და არის ამ უკანასკნელის საერთაშორისო  
სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე.

მიხ.მირილაშვილმა ისრაელის შეიარა-  
ღებულ ძალებს საჩუქრად გადასცა თორის  
გრაგნილები, ალექსანდრე მაშკევიჩთან  
ერთად შექმნა ხანდარსანინააღმდეგო მან-  
ქანების რაზმი, კარმელის მთის ტყის 2010  
წლის ხანძრის შემდეგ და მიაწოდა თვითმ-  
ფრინავებით დახმარება გაუწია 2012 წელს  
ბულგარეთში, ქ.ბურგასში ტერორისტული  
აქტის მსხვერპლთ.

ბატონი მიხეილი ჩართულია ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვით ისეთ პროგრამებში, როგორიცაა თელ-ავივის უნივერსიტეტის წყლის კვლევის ცენტრი; ებრაელთა ისტორიული ძეგლების დაცვის ისეთ პროექტში, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იად ვაშემის ჰოლოკოსტის კულტის კვლევის ცენტრი და მრავალ სხვა საზოგადოებრივ ინიციატივაში მსოფლიო მაშტაბით.

— რა მოტივაციით აკეთებთ  
ამ ყველაფერს?

— ებრაული რელიგიის თანახმად, სამყაროს გაუმჯობესება და თანამემამულების დახმარება ლვთისმსახურების უმთავრესი ნაწილია. ჩვენ ყველა ადამიანზე უნდა ვიზრუნოთ და დავგრნმუნდეთ, რომ მსოფლიოში არავინ დარჩება გადარჩენისთვის აუცილებელი დახმარების გარეშე.

დიდად ბედნიერი ვარ იმით, „რომ გავიზ-  
არდე ოჯახში, სადაც სხვებზე ზრუნვა და  
თემის უზრუნველყოფა უმთავრესი გახ-  
ლავთ. ძალიან ადრეული მოგონებები მაქვს  
ბაბუაჩემზე. ის რომ გარდაიცვალა, მე პატა-  
რა ვიყავი, მაგრამ ოჯახის წევრები ძალიან  
ბევრს მიამბობდნენ მის ულევ კეთილშო-  
ბილებაზე. ჩვენი ოჯახი იყო ძალიან ძლიერი  
თემის ნაწილი, ბაბუაჩემთან დახმარების

შეძლებს თუ არა, დაეხმაროს მთხოვნელებს. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი კეთილშობილი საქმე ბებიამ განაგრძო, ძალიან ბევრ ადამიანს დაეხმარა. ხშირად, როცაჩვენი ეზოს ჭიშკართან დახმარებისთვის მოსულ ადამიანებს ვხედავდი, ბებიაჩემს ვთოვდი, ფული მოეცა, მინდოდა მთხოვნელისათვის მიმეწოდებინა. მაგრამ ბებიაჩემი ჯერ მთხოვნელებს სახლში შემოიპატიუებდა, დაანაყრებდა, მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა თანხას და საჭმელს.

მამაჩემა ასევე დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და კაცთმოყვარეობის ისეთი მოდელი მაჩვენა, რომლის დაცვასაც ყოველდღე ვცდილობ. საქართველოში სამოქალაქო ომის დროს, 1980-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, მამა საცხოვრებლად ჩემთან — სანქ-პეტერბურგში ჩამოვიდა. ამ დროისთვის რუსეთში ბევრი ბიზნესი მქონდა და საქართველოში ჩვენი მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი - ებრაელები და არაებრაელები, ძალადობისგან თავის დასაბლევად, პეტერბურგში ჩამოვიდნენ მამამ მთხოვა, რაც შეიძლება მეტი ლტოლვილი დამექირავებინა, თუმცადა რომ ბევრი იმათგანს არ ჰქონდა საჭირო უნარ-ჩვევები. როდესაც ამაზე მივუთითე, მამამ დაჟინებით მოითხოვა მათი სამსახურში მოწყობა და მისი მოთხოვნით მე ეს გავაკეთე.

ყოველდღე, სამსახურის მერე, მამაჩემი ამ ახალ თანამშრომლებს სახლში იწვევდა — დიდ ინტერესს იჩენდა მათ მიმართ: ეკითხებოდა, თუ როგორ მუშაობენ, რას აკეთებენ, და, რაც მთავარია, მათ ასწავლა, თუ როგორ უნდა იყვნენ ეფექტურნი და მართლაც წარმატებულნი ამ ახალ თანამტკბობებზე.

ებრაელი ხალხის ერთ-ერთი უდიდესი  
მეცნიერი, სახელად მაიმონიდი გვასწავ-  
ლიდა, რომ არსებობს ქველმოქმედების  
რვა საფეხური და უმაღლესი დონეა, ადამი-  
ანს მისცე საკუთარი საქმე. მე მჯერა, რომ  
მამაჩემმა ერთი ნაბიჯით წინაც კი წაიწია და  
შექმნა მეცხრე საფეხური, რადგან ის ადამი-  
ანები, ვინც მან ჩემს კომპანიებში სამუშაოდ  
მოიყვანა, ჩვენი საქმანობისთვის, იმდენად  
მნიშვნელოვანი გახდა, რომ დღეს გაუგე-  
ბარია, ვინ ვის უფრო სჭირდება და ვინ ვის  
მიმართ უფრო დავალებულია. ეს ადამიან-  
ები ჩემი კომპანიების საყრდენია და მათ გა-  
რეშე დღეს ჩვენი მუშაობა ვერ წარმოგვიდ-  
გენია.

ჩემს საქმიანობას და წარმატებებს ბიზ-  
ნესში აღვიქვამ, როგორც იმ გლობალური  
პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას, რო-  
მელიც საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს  
და კაცობრიობას. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ-  
ისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ მთელ

მსოფლიოში ყოველ ადამიანს აქვს წვდომა ყველაფერ იმაზე, რაც მათ გადარჩენისთვის სჭირდებათ და ამ რესურსებს დღეს-დღეობით სულ უფრო მეტი საფრთხე ემუქრება. COVID-19- ის ამჟამინდელმა კრიზისმა უფრო ნათლად გვიჩვენა ამ პრობლემის სამწუხა- რო რეალობა.

— თქვენ ახლახანს ჩაერთეთ საკმაოდ, ასე ვთქვათ, „გავლენი- ან“ ინვესტიციებში, რათა გადაჭ- რილ იქნას მსოფლიოს კრიტი- კული პრობლემები, დანცებული საკვებისადა წყლის დეფიციტით, დამთავრებული მედიკამენტე- ბით. როგორ დაიწყეთ ეს საქმე?

— საბედნიეროდ, მე გამიმართლდა და ფინანსურად წარმატებული ცხოვრება მაქვს. მაგრამ ფინანსური წარმატება ღმერ- თის დიდ კურთხევას მოითხოვს. თუმცა, ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ უნდა მოვექცეთ არა მარტო იმ ადამიანებს, ვინც ჩვენს გვერდით არიან, არამედ იმათაც, ვინ მსოფლიოს სხვა მხარეს ცხოვრობს.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ საფრთხე ემუქრება ყველაზე ძირითად რესურსებს, რომლებიც ჩვენ თავისითავად მივიღეთ და რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ჩვენს მიერ ჩასუნთქული ჰაერი დაბინძურე- ბულია და ატარებს დაავადებებს, რომელთ- აგან COVID-ი მხოლოდ ერთია.

წყალი, რომელიც ჩვენი ონკანებიდან მოე- დინება, ალარ არის უსაფრთხო, მტკნარი წყლის მარაგი მცირდება და მილიარდო- ბით ადამიანი მთელ მსოფლიოში განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს. ჩვენი საკვები სულ უფრო ძვირი, არაორგანული და საში- შია. ამ კრიზისამდე ვინ წარმოიდგენდა, რომ სუპერმარკეტების დარბევა დაიწყებოდა და მარაგები შეიზღუდებოდა?

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ასეთი ინვესტიციების მიმართ ჩემი ყურადღება განპირობებულია არამარტო იმით, რაც ხდება მსოფლიოში, არამედ იმ პასუხისმგე- ბლობით, რაც უფალმა მომანიჭა, რათა ვიზ- რუნო ახლობლებზე და თანამემამულებზე.

მაგალითად, კომპანია „ვატერგენი“ (Watterson) სრულად უმკლავდება წყლის გლო- ბალური დეფიციტის პრობლემას ჰაერიდან სასმელი წყლის წარმოების უნიკალური ტე- ქნოლოგიით. ეს მეთოდი გთავაზობთ სუფთა სასმელი წყლის დაუყოვნებლივ, უსაფრთხო და მდგრად წყაროს, არ საჭიროებს მავნე პლასტმასის ბოთლებსა და კონტეინერებს და უკვე ინერგება მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში. ისრაელის ამ კომპანიას მთელ მსოფლიოში ადამიანებისთვის ჯანმრთ- ელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება მოაქვს

— გვიამბეთ კომპანია „ვერ- ტიკალ ფილდ“-ში (Vertical Field) თქვენი ინვესტიციის შესახებ და რატომ არის ეს განსაკუთრებუ- ლი?

— „ვერტიკალ ფილდ“-ი ისრაელის საო- ცარი კომპანიაა, მან შეიმუშავა ჩვენს ქა- ლაქებში აგროკულტურების, ბოსტნეულისა და ხილის შემოსატანად უნიკალური ტე- ქნოლოგია. კომპანია გარდაქმნის საკვები პროდუქტების მოყვანის და მოხმარების გზას და კვების მომარაგების ჯაჭვში ცვ- ლილებების შეტანით ამცირებს მანძილს პროდუქტსა და მომხმარებელს შორის და, შესაბამისად ამცირებს ტრანსპორტის ხარ- ჯებსაც. კომპანიის სანიადაგო ფერმები სა-

შუალებას გაძლევთ, მოაშენოთ აგროკულ- ტურები მაშინაც კი, თუ არ გაქვთ მინის ნაკვეთი: თქვენ უბრალოდ მოაწყეთ კონ- ტიენერი და სუფთა პროდუქტი მოვა თქვენს რესტორანში, სუპერმარკეტში, ან სახლში. ამ ტექნოლოგიას ასევე სარგებელი მოაქვს ურბანული ეკოსისტემისთვის ვინაიდან მცენარეთა თვისებების გამოყენებით ხდე- ბა ჰაერის და ხმაურის გაფილტვრა, ნარ- ჩენების შემცირება, პესტიციდებისგან და მწერებისგან თავისუფალი ბუნებრივი მცენარეული კედლების შექმნა. ურბანული სოფლის მეურნეობა არის ახალი გზა მო- სახლეობის საკვების მზარდი მოთხოვნილე- ბების დასაკმაყოფილებლად ქალაქების ნებისმიერი შიდა თუ გარე გარემოში მცენა- რების მოშენებით.

გეოპონიურ (ნიადაგზე დაფუძნებულ) პლატფორმას 200-ზე მეტი სახის კულტუ- რის მოყვანა შეუძლია. ამ ტიპის გადაწყვე- ტა გულისხმობს თუ როგორ უნდა გახდეს ქალაქი უფრო ჯანმრთელი, ცოკხალი და საცხოვრებლად ვარგისანი. ასევე ზრდის სურსათის უსაფრთხოებას და მუშაობს გრძელვადიან ჰერსპექტივაზე, რაც დღე- ვანდელი გამონვევებიდან გამომდინარე და- ლზე მნიშვნელოვანია

კომპანია დიდ ძალისხმევას უხმობს იმ- ისთვის, რომ შექმნას ახალი შესაძლე- ბლობები საკვების გაზრდისა და ჩვენი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, კლი- მატისა და ტექნოლოგიების უზარმაზარი დარღვევების მიუხედავად.

— კორონავირუსის პრობ-

ლემის გადაჯრაში თუ მონაწ- ილეობდნენ ის ფირმები, რომ- ლებშიც თქვენ ინვესტიციები ჩადეთ?

— ჩვენ ცოტა ხნის წინათ შევუერთდით ისრაელის კომპანიას, სახელწოდებით „ნა- ნოსონო“ (Nanosono), რომელმაც შეიმუშავა უნიკალური ანტიმიკრობული ნანოტექნო- ლოგია, რომლის სინთეზირება შესაძლებე- ლია ფხვნილის, გელის, ან სითბოს სახით.

ფართო კვლევამ გვიჩვენა, რომ ნანო- მასალა თითქმის მთლიანად კლავს მავნე ბაქტერიებს, ხოლო COVID-19-ის ვირუსის ბოლოდროინდელმა ტესტებმა აჩვენა, რომ ნანომასალები ამასაც კლავს.

ნანომასალის განთავსება შესაძლებე- ლია პირად დამცავ აღჭურვილობაზე, რო- გორიცაა ნილბები, სამედიცინო ტანსაც- მელი, კედლის საღებავები, მალამო, ხოლო უახლოეს მომავალში მასალის განთავსება შესაძლებელი იქნება უშუალოდ კანზე ან ნებისმიერ იმ ზედაპირზე, რომელსაც ვეხე- ბით. ერთის წუთით წარმოიდგინოთ რომ ამ კრიზისის დროს გვქონდეს ანტივირუსული ნილბები, რომლებიც ხოცავს ჰაერში არ- სებულ ნებისმიერ ვირუსს. კომპანია უკვე მუშაობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რათა ხელი შეუწყოს კორონავირუსის აღმოფხ- ვრას.

შესაძლებლობები უსასრულოა და ეს შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ ადა- მინების დასახმარებალად და მთელი კაცო- ბრიობისთვის ახალი ტექნოლოგიების მისა- წოდებლად.



მისამართის მიმღები და ფინანსური

## რასაცა გასცემ, შენია...

ვისაც, შეჭირვებულთა დახმარება, ცხოვრების მიზნად გაუხდია, სიყვრულსა და პატივისცემას იმსახურებს. ამიტომ გაზეთის მკითხველების წინაშე სიამოვნებით წარვადგენ ერთ-ერთ წარმატებულ ახალგაზრდა ბიზნესმენს, რომლისთვისაც ფული არის ქველმოქმედების განვის საშუალება. ეს გახლავთ ისრაელსა და საქართველოს საქმიანობის კარგად ცნობილი, მენი ბენიში (მენახებ ბინიაშვილი), რომელიც ამასწინათ საქართველოში ისრაელის ბიზნესპალატის წარმომადგენელი გახდა.

**ლია კრისტიანი.** დიდი მადლობა, რომ სასაუბროდ დრო გამონახეთ. თქვენ ხალხი გიცნობთ, როგორც მეცნატასა და კეთილი საქმეების მოთავეს და რაც მთავარია, თქვენი სახელი დიდი ხანია გასცდა ჩვენი თემის ფარგლება. რამდენი წლისა იყავით, როცა ისრაელში ამოხვედით?

**ხანია განიშვნილი.** მოწვევისთვის მადლობას მოგახსენებთ. იმედი მაქვს, ჩემი ქართულით არც თქვენ შეგარცხვენთ და არც თავს შევირცხვენ, რამეთუ 10 წლის ასაკში ამოვედი ისრაელში და თითქმის მავიწყდებოდა ქართული, ვიდრე ბოლო წლებში საქართველოში დაფინანსდი საქმიანობას. შე ქ. ფოთში დავიძადე რუსიკო და სიმონ (სულლ) ბინაშვილების ოჯახში. ვსწავლობდი ფოთის მეორე საშუალო სკოლაში. მეოთხე კლასში ვიყავი, როცა აქ ახალ გაორებოს უნდა შევჩერებულიყავი.

**ლ. 3. ამბობენ,** ბავშვებისთვის ადაპტაციის პროცესი ადვილი გადასალახიაო. როგორ იყო თქვენს შემთხვევაში?

**მ. ბ. აღმასახლისათვის ბაბის მოზარდებს არ უჭირთ.** მე ისეთ ასაკში ვიყავი, რომ ვიდრე ენას ვისწალიდი, ბევრი დამცირების ატანა მომიხდა. დაგვახსენდით ქ. ხოლონში, ვსწავლობდი ზალმან არანის სკოლაში. არც უბანში და არც — სკოლაში, არ იყვნენ ბავშვები საქართველოდან. ენის ბარიერის გამო, არ მყავდა მეგობრები, მოგვიანებით რუსეთიდან ამოსულებს დავუხსლოვდი. მოგეხსენებათ, ბავშვები ადვილად დასცინიან იმათ, ვინც საუბარში შეცდომებს უშვებს და ანგარიშს არ უწევენ, რა არის ამის მიზეზი, მაგრამ თანდათან ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

**ლ. 3. ბავშვების რაზე იცნებობდით, რა გინდოდათ გამოსულიყავით, დაემთხვა თქვენს დღევანდელ საქმიანობას, თუ ცხოვრებამ სხვა რამ გიკარახათ?**

**მ. ბ. თქვენი წარმიოდგინეთ, იმ სფეროში ვსაქმინობ, რაც მიზიდავდა. მამაჩემი ბიზნესმენი გახსლდათ. ჰქონდა ცელოფანის პარკების აგაბრიკა და ექსორტ-იმპორტზეც გაზარდა წარმოება. მეც ვსწავლობდი მისგან. ყოველთვის მაინტერესებდა მარკეტინგი. ინგლისური კარგად ვიცოდი და ეს მეხმარებოდა.**

**ლ. 3. ისრაელში ჩამოყალიბებულ და დავაუკაცებულს, სამხედრო სამსახურის გამოცდილებაც გერმებათ.**

**მ. ბ. რასაცირველია.** ვმსახურობდი „გოლანის“ მექრძოლთა ქვეგანაყოფში. წესისამებრ, სამი წელი დავყავი ჯარში. ეს იყო, ერთის მხრივ, რთული პერიოდი, უამრავი სამხედრო ოპერაციებით და მეორეს მხრივ, სასიამოვნო შეგრძება იმისა, რომ მენი ქვეყნის მშვიდობის სადარაჯოზე დგახარ. მე ყოველთვის ვარ მზად ისრაელის დასაცავად.

**ლ. 3. თქვით, რომ მარკეტინგი მიზიდავდა. ამისათვის რა განათლება მიიღოთ და სად?**

**მ. ბ. სკოლის შემდეგ, სანალი განვარდება წარმოების მართვის კოლეჯში, რომლის დამთავრებისთანავე ჩავირიცხე ხაიფის უნივერსიტეტში მონათესავე ფაკულტეტზე და შემდგომ ამერიკში, ოპაიოს შტატში დავამთავრე, მაგისტრატურა ბიზნესის მართვის სფეროში. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, დავიწყე მუშაობა ისრაელის ცენტრალურ გაზეთებში: „იედიოთ ახორნოთსა“ და „მარკივში“, გაყიდვისა და გასაღების განყოფილებაში უმცროს მარკეტინგობრები. „იედიოთ ახორნოთში“ ცოტა ხანს ვიმუშვევ, ხოლო „მარკივში“ თანადათან წავინიერ და მთავარი მენეჯერის თანამდებობა დავკავე. მოზარდთა ყოველკვირეულ ქურნალსა და ქალთა ქურნალში „ათ“ ვთანამშრომლობდი საკმაოდ წარმატებულად. როდესაც ჩემი უფროსი გარდაიცვალა, იქ დარჩენის არანაირი სურვილი აღარ მქონდა. წამოვედი და 26 წლისამ ჩემი სა-**

კუთარი, პირველი ბიზნესის წარმონება ვცადე. ეს იყო ეგრეთწოდებული „მიღელეთ ლედელეთ“ („კარიდან კარამდე“), რაც ისევ გაყიდვებს ემსახურებოდა. ნამდვილად ვერ დავემდურები, ნელნელა იზრდებოდა და ვითარდეოდა ჩემი ბიზნესი, მაგრამ 2004 წელს დაწყებული ინტივადისა და ტერაქტების გამარჯვების შემცირდა და შემდეგ სრულიად შეწყდა. ძნელი იყო საქმის წარმართვა და იძულებული ვიყავი დამეხურა იგი.

**ლ. 3. არც ერთ დროს არ იყო ადვილი ჩარხის დატრიალება და ახალი საქმის აგება. როდის გადაწყვიტეთ იმ სფეროში გემუშავათ, რომელსაც დღეს ემსახურებით?**

**მ. ბ. ვცადე უცხოეთში ამენყო ახალი საქმე. ჩემს წინ უფრო მეტი პერსპექტივები გადაიშალა. შეგნებული მქონდა, რომ მიღწეულით არ უნდა დავემაყოფილებულიყავი, უნდა მეცადა მეტი და მეტი. დღევანდელი ჩემი საქმიანობა ძირითადად ისრაელში და საქართველოში რეზიდენციებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. გარდა ამისა, ინტერნეტ-თამაშებისა და ფინანსების დაბანდების სფეროს განვითარება ჩემი მიზანი. ჩვენი მაღალკვალიფიციური მეცნიერების მწამს, რომ დღევანდელი პანდემიის გამდვინვარების პირობებშიც კი, სიმყარეს შევინარჩუნებთ.**

**ლ. 3. როდის გადაწყვიტეთ საქართველოში დაგენტიოთ ბიზნესი და რა იყო ამის მიზეზი?**

**მ. ბ. არგანსვენებულმა მამაჩემმა 2006 წელს მთხოვა წავყოლოდთ საქართველოში მშობლიური ადგილების მოსახულებლად. ვიმოგ ზარურეთ და როცა თბილისში ჩავედით, გავიცანი ჩემი დღევენდელი პარტნიორი — ილია წულაია, პარლამენტის წევრი. მაშინ წამოვინება ახალი საქმე, რომელიც ახლა ინოდება „არქი გრუპ“-ად. თანდათან გაფართოვდა ჩვენი საქმიანობა, ეს არის მშენებლობა, სასტუმროები და კიდევ რამდენიმე ბიზნესი. საქართველოსთან ჩემი კავშირი, მხოლოდ ბიზნესით როდი განისაზღვრება, ძალიან დაგვმეგობრდი და მიყვარს ჩემი პარტნიორები და თანამოაზრენი ზაზა ფარისი (ყოფილი კალაბრიუმის ტერიტორია) — ილია წულაია, პარლამენტის წევრი. მაშინ წამოვინება ახალი საქმე რომელიც არა არ მიშენებლოვან ეტაპს მის ცხოვრებაში. იგი იმსახურებს იმ ქვეგანაყოფში, რომელზეც ოცნებობდა. ილი 14-ის უნდა გახდეს და უმცროსი ლინ, 11 წლისა იანვარში გახდება. უზომოდ მიყვარს.**



ან დაფნის გვირგვინებს არ ელოდება. უნდა აკეთო გულით ყოველთვის და ყველგან, სადაც შეგიძლია. თავად მე მგვრის სიამოვნებას, თუ ვინმეს დახმარების ხელს გავუნვდი. ვნატრობ, რაც შეიძლება ნაკლებ ხალას უჭირდეს, მაგრამ თუ ესაჭიროებათ, ყოველთვის მზადა ვარ მხარში ამოუდგე. ყოველი არასასიამოვნო შემთხვევები, მაგრამ მთავარია ჩემი დახმარების იბიქტი, გაძლიერდეს და თვითონაც სტესოს სიკეთო.

**ლ. 3. რამდენადაც ვიცი, სამი შვილი გყავთ. გაგვაცანით ისინი.**

**მ. ბ. დიახ, ჩემი ცხოვრების აზრი, ჩემი სამი ქალიშვილია. 18 წლის ლიელი ჯარშია. მიხარია და ვამაყობ, რომ მოვესნარი ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპს მის ცხოვრებაში. იგი იმსახურებს იმ ქვეგანაყოფში, რომელზეც ოცნებობდა. ილი 14-ის უნდა გახდეს და უმცროსი ლინ, 11 წლისა იანვარში გახდება. უზომოდ მიყვარს.**

**ლ. 3. მომებე ვიყავი, თუ როგორ გადმოგეცათ ორგანიზაცია „მამულის“ საპატიო სიგელი თანადგომისა და დახმარებისათვის. თქვენ გაარემონტეთ და კეთილმოანებეთ ირაკლი კოლაძის მიერსრაელში დაარსებული, ქართული სკოლის შენობა ქ. ლოდში, სადაც დიასპორათი — ისრაელში დაბადებული ბავშვები ეუფლებიან ქართულ ენას. ეს უთუოდ უწყობს უწყობს ხელს რომ ქვეყნისა და ორი ერის მეგობრობის გაძლიერებას. განვითარება ისიც, რომ სიკეთის ქმანა, მეცნატობა და ქველმოქმედება, ჩვენი ყოველდღიური საზრუნვაში.**

**ბ. ბ. თქვენ ახსენთდა და მიტომ გეტყვაულის ყოფილმა ელჩის ისრაელში პაატა კალანდაქებ და ირაკლი კილაძემ, ჭემარიტიად საშურსაქმეს ჩაუყარეს საფურცელში. მე ილია წულაია წავითორებით და საქმიანობის მიერ კარტულ ენაზე და მეტად გაუთევებან სახელი ქართულ სკოლაში დაარსებული, ქართული სკოლის შენობა ქ. ლოდში, სადაც დიასპორათი — ისრაელში დაბადებული ბავშვები ეუფლებიან ქართულ ენას მეტად გაუთევებან სახელი ქართულ სკოლაში. რამდენიმე მათგანს ბინაც ვაჩუქრეთ. ვეხმარებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებსა და მათ იჯახებ**

„მე 19–20 საუკუნეების ებრაელი მეცნიერები საქართველოდან“

(დასასრული. დასაწყისი იხ. „გ“ №11,12)

**ელზა სნირ (ჩაჩაშვილი)** გამოცდილი სპეციალისტი გახდა ბათუმის სამუშავან პროექტებში, როგორიცაა საიზოლაციო მასალები, ფენები, ბიოქიმიური აქტიური მოდიფიკაციები; ულტრამგრძნობიარე სენსორების შემუშავებაში სამედიცინო მიზნებისათვის, დაგნოსტიკისა და ასაფერებელი ნივთიერებების აღმოჩენისთვის. 2014 წელს იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის, ქიმიის ფაკულტეტზე მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, დისერტაციის სახელწოდება: „ფერმენტული ფოსფორილირების რეაქციების ელექტრული შეგრძებება“. კვლევის შედეგი მნიშვნელოვანია და საშუალებას იძლევა უჯრედში კიბოს პროცესების მონიტორინგის და ნეირო-ელექტრონული მოწყობილობების ჩართვისა. მომავალში მიმზიდველია დიაგნოსტიკური და ახალი წამლების განვითარების მიზნებისათვის. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და მონაცილეობს კონფერენციებში. აღსანიშნავია მისი ჩართვა მრავალ თანამედროვე დახელოვნების კურსში, მათ შორის, საზაფხულო კურსი ნანომასალების და არქიტექტურის შესახებ, რომელიც ორგანიზებულია NATO-ს მიერ - Advanced Institute, ირლანდია, 2013 წლის ივლისი. ისრაელიდან მხოლოდ სამი სტუდენტია მიწვეული და 2017-2018 წნ. კურსი "სამედიცინო აღჭურვილობის შემუშავება უახლესი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად". იოშუა ენუკა (ენუკაშვილი) ხაიფის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამეცნიერო ხარისხს არიელის და შემდგომ თეორეაციის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძობს. მისი კვლევის არეალი - სტრუქტურული ბიონიზორმატიკა. საკვალიფიკაციო დისერტაცია: „ნატრიუმის არხების ერთნაირი განაცილება მოციმური ეფიტელიუმში, კვერცხუჯრედებში და სასუნთქმებში“ (2012). პოსტდოკტორატის სტაურება ვაიცანის ინსტიტუტში გაიარა. ასწავლიდა კურსებს:

1) გაცნობა კომპიუტერული მეცნიერებისა და პროგრამირების შესახებ ბიოლოგიურ მეცნიერებაში; 2) მონაცემთა სისტემები და პროგრამები ბიონიზორმატიკაში; 3) ბიოექიმია; 4) თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდები მოლეკულურ ბიოლოგიაში. განაგრძობს კვლევას: а) ახლად აღმოჩენილი წრიული რნმ-ის იზოფორმი, როგორც კიბოს პოტენციური ბიომარკერები და б) დნმ-ის მეთოლის როლი ონკოგენურ სიგნალში.

რეულოს გაცნობა. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და კითხვა ბერძნის საწარმოები.

**ლ. 3.** გეამაყებათ თქვენი ეპრაელობა, თანაც ქართული დასკვიტ?

**პ. ბ.** ახლა ძალიან ვამაყობ

**ლ. 3. როგორ გავიგო, რას ნიშნავს „ახლა“?**

**8. პ. როცა ისრაელში ამოვედი, ქართული აქცენტი მქონდა და არ ვფლობდი ივრითს, ყველაფერს ვაკეთებდი, რომ რაც შეიძლება მალე გავმხდარი ყავი ისეთი, როგორც „ყველა“. შევიცვალე ქართული გვარი ბინიაშვილი, სახელი შევიმოკლე, ეს ბავშვური გულუბრყვილობით მომდიოდა. ჩემი ეპრაელობა, ყოველთვის მეამაყებოდა და ახლა კი,**

2019 წლიდან თანამშრომლობს სინგაპურში კომპანია „Tikkun Olam Makers“ (TOM). თანამედროვე ხედვა მეცნიერების და ტექნოლოგიის შერწყმაში. ეს მოძრაობაა სასადაც ქმნიან და ავრცელებებს ხელმისაწვდომ გადაწყვეტილებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და ღარიბთა დასახმარებლად. ინჟინრები, დიზაინერები, დეველოპერები, ერთის მხვრივ და შეზღუდული შესაძლებლობების პირები, მეორე მხრივ, ერთად მუშაობენ ამ უფლებელყოფილი საჭიროებისთვის ინვაციური და ხელმისაწვდომი გადაწყვეტილებების შესაქმნელად.

**სანა აჯიაშვილი** - კომპოზიტორი.თბილისის გ.სარაჯიშვილის სახ. კონცერვატორიის კურსდამ-თავრებული (1995), სწავლას განაგრძობს მოსკოვ-ის ჩაიკიევსკის სახ. კონცერვატორიაში. ისრაელში ამოვიდა 2001 წელს და სათავეში ჩაუდგა ორ-ჰესდის კონცერვატორიას. 2007 წელს ბარ-ილანის უნივერ-სიტეტში დაიცვა სადოქტორო ხარისხი კომპოზიცია-ში. 2008 წელს მიენიჭა ისრაელის პრემიერ მინისტრის ჯილდო კომპოზიციაში. 2011 წელს დაჯილდოვდა სი-მენისის სამუსიკო ფონდის მიერ (გერმანია), როგორც საუკეთესო ისრაელელი თანამედროვე შემსრულე-ბელი. 2010 წლიდან კულტურის სამინისტროს მუსი-კალური დეპარტამენტის წევრი, 2011 წლიდან ისრაე-ლის კომპოზიტორთა კავშირის საბჭოს წევრი, 2016 წელს თანამშრომლობდა Lincoln Center - ფილარმო-ნიის მიერ შედგენილ პროგრამაში, ისრაელის წარმო-მადგენელად. აქვს საქმაოდ მდიდარი გამოცდილება სასწავლო სფეროში: გახლდათ მიწვეული ლექტორი მაღრიდის სამეფო კონცერვატორიისა — ნიუ-იორ-კის ჯულიარდის სკოლაში, იერუშალამის სამუსიკო აკადემიაში. 2002 წლიდან ორ-ჰესდის კონცერვა-ტორიაში: დირექტორი, კომპოზიტორი, პედაგოგი. მუსიკის მასწავლებელი ელის თავის აღზრდილების წარმატებებს, რაც 2018 წელს ჰიუსტონში დადას-ტურდა. მსმენელი მოუთმენლად ელოდება ხანა აჯი-აშვილის ოპერის პრემიერას „ჩუტ ლასას“.

**რუსები კაუკილოტი** — კომპოზიტორი, დოქტორი, ისრაელის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. 1972 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის კომპოზიციის კლასი ა. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით. 1972-1974 წელს თეორიული საგნების პედაგოგი რუსთავში სამუსიკო სკოლაში. 1974 წლიდან თბილისის 1 სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი. მისი კალამს ეკუთვნის კომპოზიციები: მუსიკალური ნაწარმოებები კამერული, სიმფონიური, სიმებიანი ორკესტრისათვის, ალტისა და ფირტეპიანოსათვის, სიმღერები. მისი ნაწარმოებები ჩართულია მრავალი ფესტივალის პროგრამებში, კერძოდ: აბუ-გოში, 2019. 2014 წელს ბარ ილანის უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე საინტერესოდ ნარმოაჩინა: „ქართველ ებრაელთა ლოცვანი, მახასიათებელი, თავისებურებანი“.

**გური ცივიონი** - პროფესორი, ვინძორის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი, მოლეკულური მეცნიერებების კათედრის გამგე (აშშ). მან დაამთავრა ერუშალამის ებრაული უნივერსიტეტი (1989წ.), სწავლა განაგრძო მუნიციპალური ბიოლოგიის განხრით და 1995 წ. მოიპოვა ჰარისხი ავთვისების სიმსივნეთა ბიოლოგიაში. პოსტდოქტორანტული დახმარებელი პარვარდის სამედიცინო ფაკულტეტზე კიბოს მოლეკულურ ბიოლოგიაში გაიარა (1995-2000). კვლევითი მუშაობა განაგრძო ტეხასის სამედიცინო ცენტრში — დეტრიოტში, კარმანოს კიბოს შემსწავლელ ცენტრში, იენის სახელმწიფო უნივერსიტეტის (2004-2009) მიწვეული პროფესორია. მისისიპის სამედიცინო ცენტრი (2009-2015) და ამჟამად გენეტიკის პროფესორი ვინძორის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, დეკანი სამეცნიერო დარგში. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. თავს ვალდებულად ვთვლი ავლიშვილო, რომ ამ მკლევარის ბიოგრაფია არის საუკეთესო მაგალითი მეცნიერებაში მემკვიდრეობის

განსაკუთრებით მეამაყება, რომ საქართველოში დაბადებული ებრაელი ვარ. მიყვარს ორივე კულტურა, ორივე ქვეყანა. ჩემი ქართული საკმარის გაუმჯობესდა ბოლო ათი წლის განმავლობაში.

**ლ. 3.** რას ურჩევდით დამწყებ ბიზნესმენს

**8. ბ.** ვისაც საქართველოში უნდა ბიზნესის წარმოება, აქ ყველა პირობაა იმისთვის, რომ გა-ნავითარო ახალი იდეები და წამოაყენო საკუთარი ინიციატივა. მთავარია, არ შეუშინდე წაბორიკებას. ნუ გგონიათ, რომ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გამომივიდა. იყო ჩავარდნები, ბევრჯერ არ გამიმართლა, მაგრამ წამოვდექი და ნულიდან დავიწყე ყველაფერი, არავისთვის არ დამიბრალე-



מרכז פרес לשלום  
مركز بيرس للسلام

თობისა. გური თემში ცნობილი და ისრაელში დამსახურებული ფიზიკოსის, პროფესორ შალვა ციციონის (წინუაშვილის) ვაჟია.

**თამარ საპირი** - ბარ-ილანის უნივერსიტეტის  
ბიოლოგიის ფაკულტეტის (1998-2000) კურსდამ  
თავრებული, ბიოტექნოლოგიის განხრით. სადო-  
ქტორო დისერტაცია მოლეკულურ ბიოლოგიაში  
დიაბეტის მეურნალობის უჯრედული და გენური  
თერაპიის საკითხებში დაიცვა (2006). შემდგომი მისა-  
სამეცნიერო კარიერა აშშ, მაიამიში გრძელდება  
პოსტდოკტორატი (2006-2009). ნიზეური ახალგაზ-  
რდა მეცნიერი ამთავრებს ბიზნესის უნივერსიტეტს  
მას ეძლევა შესაძლებლობა პროექტების მართვის  
გრანტების წარდგენის, საერთაშორისო ფორუმების  
ორგანიზებისა. დღიდ ინტერეს იწვევს მასში კლინი-  
კური დისციპლინების სწავლება და სამედიცინო  
დარგში პროფესიონალთა დახელოვნება. 2018 წლი-  
დან პროფესორი თამარ საპირი განათლების „და-  
კომპანიის ვიცე პრეზიდენტია. კითხულობს ლე-  
ქციებს ფლორიდის უნივერსიტეტში მოლეკულურ  
ბიოლოგიაში. კლინიკური იმუნოლოგიურ საზოგა-  
დოებათა ფედერაციის საბჭოს წევრი გახლავთ.

**კვლევის ამ მონაკვეთის დასასრულს:** მეცნიერებად მიზნევა ერთ-ერთი დარგის ღრმა მცოდნება — სპეციალისტი, რომელიც კვლევაში სამეცნიერო მეთოდებს გამოიყენებს. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება საზღვარგარეთ, დამტკიცება და აღიარება ექვემდებარება ბოლონიის პროცესს — ევროპის ევენების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლებისათვის ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას. ამ უკანასკნელის მიზანი კი არის ევროპის მოქალაქეთა დასაქმებისა და მობილობის გაძლიერება და ევროპული უმაღლესი განათლების საერთამორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა (1999). ბოლონიის პროცესს საქართველო 2005 წელს შეუერთდა. საქართველოს სამეცნიერო სკოლები ი.ვეკუა, დ.უზბაძე, ი.ბერიტაშვილი, ს.ვირსალაძე ე.ანდრონიკაშვილი მსოფლიოში მაღალი აკტორით ტეტრით სარგებლობენ. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, არის მიკვლეული და წარმოდგენილი წინამოღარებული მსახური.

ნიხაძებარე შასალა. არ არის გამორიცხული, რომ წინამდებარე პუბლიკაციაში გამოვრჩა რიგი მეცნიერებისა, ამიტომ მეითხველს ვთხოვ მოგვანიდოს მასალები მათ-თვის ცნობილ და პუბლიკაციაში, გამოტოვებულ მეცნიერებზე. ამით საშუალება მოგვეცემა ნუსხაშევავსოთ. ჩემი კვლევის მიზანი თემის მეცნიერთა მასშტაბურად წარმოდგენა გახლდათ, და არა ერთაულიბისა.

ბია, უიღბლობა არ მომიმიზეზებია, სხვა არ დამიდანაშაულებია. ყოველი ჩაშლილი საქმე, გმატებს გამოცდილებას, გაძლევს ახალი შანსს, კიდევ ერთხელ გამოსცადო საკუთარი ძალები. წამოდექი და სხვაც წამოაყენე!

გამომშვიდობებისას მაღლობა გადავუხადე  
მენი ბენიშს და ნარმატებები ვუსურვე თავის  
კეთილშობილურ საქმიანობაში.

ლია პრისელი  
ოქტომბერი, ისრაელი

## მასალები ბანებელ ეპრაელთა ისტორიისათვის

იგორ კაკალია, ისტორიის დოქტორი

„სწავლა-განათლება საქართველოს ეპრაელობას“ გასული საუკუნის 20-იანი ნლებიდან ასეთი მოწოდებით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციი ჯვაფების შექმნა იწყება. ამ კეთილშობილური საქმის მოთავე ახალგაზრდა გერცელ ბააზოვი იყო. თანდათან ეპრაული შუასაუკუნეობრივი სიბრძლე და ფანატიზმი ყოვლისმომცველმა თანამედროვე ცხოვრების ნორმებმა და პროცესებმა შეცვალა. ქართველ ეპრაელებს შორის მრავლად არიან ექიმები, ფარმაცევტები, მწერლები, მეცნიერები, იურისტები, განათლების მუშაკები და საზოგადო მოღვაწენი.

1928 წელს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დადგენილების საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხმატებლობის მუქარით აიკრძალა ეკლესიაში, მეჩეთში, სინაგოგაში ბავშვებისათვის რელიგიის სწავლება. მანამდე კი, 1923 წელს, საქართველოში დაბურეს 1500 ეკლესია და რამდენმე ათეული სინაგოგა (იმსანად საქართველოში სულიყო 72 სინაგოგა). რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა გაიგივებული იყოს სულიური ბრძოლის გამარჯვების შესასებად. უდარისებიც კი ერთგული რჩებოდა რწმენისა და თავგამოდებით ასრულებდა რელიგიურ რიტუალს. უფრომეტიც, 1932 წელს ბანდელმა ეპრაელებმა დაიბრუნეს სოფლის კლუბისათვის კერძო კიდევ 1923 წელს გადაცემული სინაგოგები. ხს საუკუნის 30-იან ნლებშიც ქართველ ეპრაელთა რელიგიური დღიურის გრძელების კულტურულ სულიზე, რანგითა ნაციონალისტურ-შოვინისტურ აგიტაცი-

აზე. სანარმოთა ხელმძღვანელები აკონტროლებდნენ შაბათ დღეს, როგორც ეპრაელთა უქმე დღეს. ანტირელი გიურიაგიტაციის მიუხედავად ქართველი ეპრაელობა კვლავ თავისი მამაპაპისეული ტრადიციების, წესრეულებების, სინაგოგის ერთგულირჩებოდა.

სინაგოგა ეხმარებოდა ეკონომიკურად შევიწროებულთ, რითაც ხალხში კიდევ უფრო იზრდებოდა სალოცავის ავტორიტეტი. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ 1928 წელს შექმნა ლარიბ ეპრაელთა კომიტეტი, რომლის ვალდებულებასაც შეადგენდა ლარიბ ეპრაელთაოვის დახმარება ფულით, პროდუქტებით, უფასო სამედიცინო დადამარტის განევა, მათთვის სამუშაოს მოძებნა და დასაქმება. ამით პარტია ცდილობდა, შეესუსტებინა სინაგოგის გავლენა ეპრაელებზე. მაგრამ ასეთი მომხიპლელი პირობაც ვერ აღმოჩნდა საკამარის ეპრაელთა სულიერი ცხოვრების შესასებად. უდარისებიც კი ერთგული რჩებოდა რწმენისა და თავგამოდებით ასრულებდა რელიგიურ რიტუალს. უფრომეტიც, 1932 წელს ბანდელმა ეპრაელებმა დაიბრუნეს სოფლის კლუბისათვის კერძო კიდევ 1923 წელს გადაცემული სინაგოგები.

ხს საუკუნის 30-იან ნლებშიც ქართველ ეპრაელთა რელიგიური იცხვილება კულტურულ სულიზე, რანგითა ნაციონალისტურ-შოვინისტურ აგიტაცი-

ისინი, საბჭოთა პარტიული იდეოლოგის არანაული ზენოლის მიუხედავად, აშერად თუ ფარულად, მაინც დადიოდნენ სინაგოგაში, რაზეც მიგვითითებს საარქივო მასალები და გადმოცემები. საბჭოთა ხელისუფლება კი, რომელიც გვერდს ვერ უვლიდა ამ რეალობას, ეპრაელების სალოცავში სიარულს და მათს რელიგიურობას რიტუალების ბრმა შესრულებით ხსნდა. ბანდაში ლარიბ ეპრაელთა დახმარების მიზნით ჩამოყალიბებულ ე. წ. ლარიბკომს ხელმძღვანელობდა შელო აჯაიშვილი. „ამ კომიტეტის ჰქონდა ბანდაში საკონდიტრო, სასაუზმე და სხვ. შელო მგონი, კომუნისტური პარტიის წევრი იყო. მას სინაგოგასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ზაფულობით სკოლის შენობაში ეწყობოდა პიონერთა ბანაკები. ჩვენც დავდიოდით, - იგონებს ბ. კარტოზი, - იქ გვაჭმევდნენ და გვასმევდნენ, მთელი დღე ვერთობოდით, მუშაბადა ლიტერატურის წრე თუ სპორტული ლონისძიებაზე... მე მგონი, ამ ბანაკებსაც ეხმარებოდა მატერიალურად „ლარიბკომი“. იქ ეპრაელთა ბავშვებიც იყვნენ“.

გასული საუკუნის 30-იან ნლებში ბანდას სტუმრად სწევები ცნობილი მწერალი გერცელ ბააზოვი (1904-1938 წ.). ბ. კარტოზიას მოგონებიდან ირკვევა, რომ ურიაკარის ცენტრში მდებარე სოფლის აღმასკომის

შენობის (ელო აჯაიშვილის სახლის) აივნიდან მან სიტყვით მიმართა ბანდები ეპრაელებს და მოუწოდა, რომ ნასულიყნენ საცხოვრებლად კოლხიდაში, ჭალადიდისკენ, სადაც მათთვის გამზადებული იყო საცხოვრებელი სახლები. ამ შემთხვევაში ბააზოვი ასრულებდა მთავრობის დავალებას, რადგან მთავრობას განვითარებული ჰქონდა ეპრაელთა ვაჭრობისგან ჩამომარტინებში ჩაბმა. ბევრი წავიდა საცხოვრებლად კოლხიდაში, მაგრამ მანძას დაუბრუნდნენ. ზოგიც სხვაგან — ქალაქებში გადაიხვდნა.

ბანდის ეპრაულ სასაფლაოზე არის როგორც ძველი ეპრაული საფლავის ქვები (მაცევა), ასევე საბჭოთა პერიოდის საფლავებიც, რომლების გარჩევა ქართული საფლავებისგან ძალიან რთულია. ხშირად ერთად დერთა განმასხვავებელი ნიშანი საფლავის ქვებზე ეპრაულად დატანებული წარნერებია. ეპრაული სასაფლაო საინტერესო იმითაც, რომ ის ერთგვარი დამატებითი ისტორიული წყაროა ბანდები ეპრაელთა ისტორიის შესავლისთვის. ბანდის სინაგოგის დანგრევა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობას 30-იანი წლების დასაწყისში უცდია. როდესაც სოფელში ეს ამბავი გავრცელებულა, პროტესტის ნიშანად ეპრაელი ქალები სინაგოგაში ჩვილ ბავშვებით ერთად ჩაკეტილან და ირგვლივაც ალყა შემოურტყამთ. პროტესტი რამდენიმე დღე გაჭიანურებულა. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ ბრძანება შეეცვალა. ასე გადაურჩა თურმე ბანდის სინაგოგები დანგრევას.

### „Facebook“-ს გვერდებიდან

#### ქათაბის სინაგოგა



დიდი ხანია მინდოდა ამის შესახებ დამეწერა... ჩვენ უმარავი მეგობარი გვყავს, მაგრამ, ვფიქრობ, ვყელაზე დიდი სიყვარული ჩვენ მიმართ ქართველ ეპრაელებს აქვთ... მათთან 26 საუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს... არ ყოფილა შემთხვევა ეპრაელს ქართველისთვის ოდესში ელალატოს...

ადრე, დიდი ხნის წინ, ბავშვობაში, ისინი მრავალად იყვნენ ჩემს ლამაზ, კოპნია ქალაქში, საოცრად შევენობენ და ალამაზებდნენ აქაურობას... ქუთაისელი ეპრაელები ქალაქის კოლორიტები იყვნენ... მათ საოცრად სიბრძნე, შრომისმოყვარება და ქუთათაური იუმორი ჰქონდათ... მიხარიდა და მათთან ურთიერთობა... მტკიოდა „ანა ფრანკის დღიურები“ და ვერაფრით ამესანა ამ საოცრად თბილი, მოსიყვარულე და ადამიანების თვალებში მიმაღლული საუკუნის სევდა....

„დაგრაციელება...“ — გეტყოდნენ და გულს ამოაყოლებდნენ.

მერე ცხოვრება შეიცვალა... ვხედავდი შუაფუთულ წიგნებს, ავეჯს, სევდიან სახეებს და ვე-

რაფრით ამესანა, რა ხდებოდა... თურმე თავიანთი ისტორიული სამშობლო ეძახდათ...

წავიდნენ...

წავიდნენ და დაიცალა სახლები, ქუჩები, ქალაქი... მერე ამ სიცარიელემ გულში გადაინაცვლა და დღემდე ვერაფერმა შეაგვს. მათ ხომ ჩვენი გულის ნახევარი გაცყვათ, თავიანთი. გულის ნანილი კი აქ დაგვიტოვება.

იმ შორეულ წლებში არ იყო ასეთი ტექნოლოგიები... ველარაფერს ვიგებდით სამშობლოში ასული დეპისა და დმების შესახებ... და უცებ!!! ქუთაისა დადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე გაცოცხლდა ძველი ქალაქი - დაიდგა გურამ ბათიაშვილის „ვალი“. პიესამ კიდევ ერთხელ გაცოცხლდა ლამაზი წარსული - ჩვენი და ქართველი ეპრაელების ურთიერთობის გასაცარავი ამბავი... გამოცოცხლდა ქალაქი... ყველა სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა - დარბაზი შაუერებელს ველარ იტევდა... იყო ცრემლი და გულიანი სიცილი, იყო სევდა და მონატერების დიდი სიცარიელე...

მერე ტექნიკურმა სიახლეებმა გამოაცოცხლება სამყაროში... ისევ ვიპოვეთ ერთმანეთი და ისევ გრძელდება ის დიდი სიყვარული... სამშობლოდან სამშობლოში გვეხმაინებიან, გვილოცავენ დღე-სასწაულებს და გვლოცავებენ...

ახლა მათთანაც დღესასწაულია... მინდა ხანუქა მივულოცო ჩემს უთბილეს

Eliso Peer-ს (ფიჩხაძე), იური თავდიდიშვილს, ბატონი

Alexander Peleg-ს (ელიოგულაშვილი),

ბატონ Robert Adar-ს, მალხაზ ფიჩხაძეს, დათო და მერაბ რიუჩინაშვილებს... ყველას, ვისაც უყვარს საქართველო და ქართველები...

უფლის მადლი და მფარველობა არ მოგაკლდეთ! ლეხამ!

კათევან-გაია გომორიშვილი

წაშა რებაზებილი — დიდებული